




## C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრესი

- საქართველოს მთავრობამ, CDC-ისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, გამოავლინა ძლიერი პოლიტიკური ნება C ჰეპატიტთან საბრძოლველად. C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა 2015 წელს.
- უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ არსებითად გააძლიერა ძალისხმევა C ჰეპატიტის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისეთი ეროვნული პროგრამების დანერგვით, როგორცაა აივ/HCV კონფექციის მქონე პაციენტებში C ჰეპატიტის უფასო მკურნალობა (2011 წლიდან გლობალური ფონდის აივ/შიდსის პროგრამის ფარგლებში); სასჯელადსრულების სისტემაში C ჰეპატიტის უფასო მკურნალობა; ზოგადი მოსახლეობისთვის პეგილირებული ინტერფერონისა და რიბავირინის კომბინაციაზე 60%-იანი ფასდათმობა.
- 2014 წლის თებერვალში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (მინისტრმა დავით სერგეენკომ), ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში C ჰეპატიტზე რეაგირების გაძლიერების ინიციატივას.
- 2014 წელს საქართველოს მთავრობამ წამოიწყო მოლაპარაკება ფარმაცევტულ კომპანია „გილედთან“, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ გლობალურ ლიდერს პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული პრეპარატების, მათ შორის სოფოსბუვირისა და ლედიპასვირი/სოფოსბუვირის ფიქსირებულდოზიანი კომბინაციის, კვლევისა და წარმოებაში.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შედგა სპეციალური კომისია, რომელიც უზრუნველყოფს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრესის კოორდინირებას. გარდა ამისა, შემუშავდა C ჰეპატიტის ელიმინაციის სამოქმედო გეგმის მოკლევადიანი/გადაუდებელი ღონისძიებების ეროვნული პროგრამა. C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისი პროგრესის მეთვალყურეობის მიზნით შეიქმნა ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი.
- 2015 წლის 21 აპრილს მომზადდა და ხელი მოეწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს საქართველოს მთავრობასა და ფარმაცევტულ კომპანია „გილედს“ შორის.




- CDC-თან ერთად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინებზე დაყრდნობით შემუშავდა ელიმინაციის გრძელვადიანი სტრატეგია 2016-2020 წლისთვის, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2016 წლის 18 აგვისტოს. სტრატეგია ითვალისწინებს 2020 წლისთვის დასახულ შემდეგ სამიზნეებს:
  - ✓ HCV ინფიცირებულ პირთა 90%-ის გამოვლენა
  - ✓ ინფიცირებულთა 95%-ის მკურნალობაში ჩართვა
  - ✓ მკურნალობაზე მყოფთა 95%-ის განკურნება

სტრატეგია მოიცავს 6 ძირითად მიმართულებას:

- ადვოკატირება, ცნობიერებისა და განათლების დონის ამაღლება და პარტნიორების მოძიება HCV-სთან დაკავშირებული რესურსების მობილიზაციის მიზნით
- HCV გადაცემის პრევენცია
- HCV ინფიცირებული პირების გამოვლენა
- HCV ლაბორატორიული დიაგნოსტიკის გაუმჯობესება
- HCV მოვლისა და მკურნალობის სერვისებით უზრუნველყოფა
- HCV ზედამხედველობის გაუმჯობესება


ქვეყანამ გააძლიერა ძალისხმევა სტრატეგიის თითოეული მიმართულებით:

- დვსჯეც-მა დაიწყო მასობრივი საინფორმაციო კამპანია. მოკლე ტექსტური შეტყობინებები რეგულარულად იგზავნება მოსახლეობაში C ჰეპატიტის სკრინინგზე მოწვევის მოწოდებით. დვსჯეც-ში ამუშავდა C ჰეპატიტის ცხელი ხაზი.
- სამედიცინო და არასამედიცინო დაწესებულებებში დაწესდა ინფექციის კონტროლის მონიტორინგის სისტემა. ნარკოტიკების ინექციურად მომხმარებლებისა და მათი სქესობრივი პარტნიორებისთვის HCV სკრინინგი ხელმისაწვდომია ანონიმურობის შენარჩუნებით. შეიქმნა უსაფრთხო სისხლის ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზა.
- დღეისათვის C ჰეპატიტის სკრინინგს ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს 700-ზე მეტი დაწესებულება, მათ შორის ამბულატორიული და ჰოსპიტალური კლინიკები, სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ზიანის შემცირების ცენტრები, სააფთიაქო ქსელი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რაიონული ცენტრები და ა.შ. სკრინინგის შედეგები აისახება ერთიან ელექტრონულ მოდულში, რომელიც ასევე აერთიანებს სხვა შესაბამისი ბაზებიდან მიღებულ (უსაფრთხო სისხლის, დაბადების რეგისტრისა და ჰოსპიტალიზაციის) სინქრონიზებულ ინფორმაციას. 2017 წლის ნოემბრის მდგომარეობით, მოდულში რეგისტრირებულია 1,2 მილიონზე მეტი მონაცემი, მათ შორის ტესტირებულ უნიკალურ პირთა რაოდენობაა ~775,000, ხოლო დადებითი შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი 12,2%-ია.



- რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრში HCV დიაგნოსტიკის გამარტივების მიზნით მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები, რაც უპირატესად ითვალისწინებს HCV cAg-სა და პოლიმერაზული-ჯაჭვური რეაქციით ტესტირების განსხვავებული მიდგომების შესწავლას. ლაბორატორიაში დაინერგა გარე ხარისხის კონტროლის სისტემა.
- ამჟამად C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მკურნალობის კომპონენტში ქვეყნის მასშტაბით ჩართულია 32 სამკურნალო დაწესებულება (მათ შორის, 1 ცენტრი სასჯელაღსრულების სისტემაში). 2015 წლის აპრილიდან 2018 წლის 15 იანვრამდე მკურნალობა ჩაუტარდა **38 506** პაციენტს.

## HCV მკურნალობის კასკადი ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში



\* 32,835 პაციენტიდან ტესტირება ჩატარდა 24,930-ს, რომელთაგან 24,481 (98.2%) შემთხვევაში დადასტურდა მყარი ვირუსული პასუხი

- იგეგმება HCV ზედამხედველობის დაწესება მაღალი რისკის მქონე პოპულაციებზე, როგორცაცაა ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები და ჰემოფილით დაავადებული პირები. დესჯეც CDC-სთან თანამშრომლობით 2018 წელს ჩატარებს C ჰეპატიტთან ასოცირებული ჰეპატოცელულური კარცინომის გავრცელების განმსაზღვრელ კვლევას. ასევე იგეგმება ელიმინაციის პროგრამაში ჩართვის ბარიერების შემსწავლელი კვლევა.
  - 2016 წელს შეიქმნა C ჰეპატიტის კლინიკური და სამეცნიერო კომისია. კლინიკური კომისიის მიერ შემუშავდა C ჰეპატიტის კლინიკური მართვის ეროვნული გაიდლაინი. 2017 წლის ივლისის მდგომარეობით, სამეცნიერო კომიტეტმა განიხილა 39 კვლევა და დაამტკიცა 31.
  - C ჰეპატიტის ელიმინაციის გრძელვადიანი (2016-2020) გეგმის მხარდასაჭერად, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, საქართველოში ყოველწლიურად (2014-2017) იმართება C ჰეპატიტის ეროვნული სამუშაო შეხვედრა. 2015 წელს შეიქმნა 12 ექსპერტისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ყოველ წელს (2015-2017), ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაზე, აფასებს არსებულ პროგრესს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. 2014 წლიდან დღემდე, ღვიძლის შემსწავლელი ევროპული ასოციაციის ყოველწლიურ შეხვედრაზე, საქართველოში ელიმინაციის პროგრამის მიღწევებს ეთმობა დამოუკიდებელი სესია.
  - 2017 წლის 1 ნოემბერს, ბრაზილიაში, ჰეპატიტების მსოფლიო სამიტზე, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროცესში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს მიენიჭა „NOhep Visionary“-ს საპატიო სტატუსი. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ელიმინაციის პროგრამის მიღწევებს და საქართველო დასახელდა სანიმუშო და მისაბამ მაგალითად სხვა ქვეყნებისთვის.



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
ა.წერეთლის გამზ.144 თბილისი, საქართველო, 0119  
[www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)



საქართველოს ელიმინაციის პროგრამის ეროვნული ცენტრი

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი  
მ.ასათიანის ქ.9, თბილისი, საქართველო, 0177  
[www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)